

თავი 6 სატრანსპორტო მოძრაობა



თავი 6

სატრანსპორტო მოძრაობის ფონური
მდგომარეობის ანგარიში

სარჩევი

1	სატრანსპორტო საშუალებების კვლევა.....	1
1.1	მიზნები	1
1.2	კვლევის პერიოდი და უბნები.....	1
1.3	კვლევის მეთოდოლოგია	1
1.3.1	დანიშნულება, ანალიტიკური აღჭურვილობა და სტანდარტები.....	2
1.3.2	ხარისხის კონტროლის პროცედურები.....	2
1.4	კვლევის შედეგები.....	2
1.5	სატრანსპორტო მოძრაობის ფონური მდგომარეობა.....	5
1.5.1	სატრანსპორტო ნაკადების შეჯამება.....	5
1.5.2	სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობა ჯვრის მონასტერთან.....	5

1 სატრანსპორტო საშუალებების კვლევა

1.1 მიზნები

კვლევის მიზანს წარმოადგენდა გზების გამოყენების დადგენა სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მოსარგებლეების მიერ საკვანძო ლოკალიზაციებში იმ გზებზე, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იყოს პროექტის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას.

1.2 კვლევის პერიოდი და უბნები

შერჩეული საკვლევი უბანი წარმოადგენს ჯვრის მონასტრისაკენ მიმავალი გზისა და AR69 მისასვლელი გზის (RR-001-მდე მისასვლელი გზა) გადაკვეთას. ჯვრის მონასტრისაკენ მიმავალი გზა შეირჩა, რადგანაც იგი შედარებით წყნარი ადგილობრივი გზაა, რომელზეც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს პროექტის სამშენებლო ტექნიკისა და ტრანსპორტის მოძრაობამ.

კვლევების დროს აღინუსხებოდა ტრანსპორტის ნაკადი ორივე მიმართულებით, ჩვეულებრივ, დილის 9 სთ-დან საღამოს 5 სთ-მდე, რაც მოიცავდა 8-საათიან სააღრიცხვო პერიოდს დღის ყველაზე დატვირთულ დროს.

კვლევები ჩატარდა იმ დღეებში, რომლებშიც, სავარაუდოდ, განხორციელდება სამშენებლო სამუშაოები; აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევები არ ჩატარებულა შაბათ-კვირას ან დასვენების დღეებში.

კვლევები განახორციელა „მელქვა“-ს ორმა თანამშრომელმა გ. თედორაძის ხელმძღვანელობით, რომელსაც ტრენინგი ჩაუტარა RSK-ს ტრანსპორტის სპეციალისტმა დან სამაილამ.

1.3 კვლევის მეთოდოლოგია

სატრანსპორტო საშუალებების კვლევა წარმოებდა გაერთიანებული სამეფოს სატრანსპორტო საშუალებების კვლევის ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სპეციალურ სავლელ ადრიცხვის ფორმების (MCC - Manual Classified Counts) გამოყენებით. კვლევების დროს სავლელ ჯგუფის წევრები ითვლიდნენ გზით მოსარგებლებს გზისპირა დაკვირვების პუნქტიდან თითოეულ საკვლევ უბანზე. სავლელ ჯგუფის წევრები იდგნენ ისეთ უსაფრთხო ადგილებში, რომლებიც სავალი ნაწილისგან ცოტა მოშორებით იყო და საიდანაც მკაფიოდ მოჩანდა გზა და ტრანსპორტის მოძრაობა.

კვლევებისას გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია მოცემულია ცხრილში ქვემოთ.

ცხრ. 1: სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია (DFID Overseas Road Note 40-ის მიხედვით)

სატრანსპორტო საშუალებების ტიპი	აღწერა
გზის სხვა მომხარებლები	
ფეხით მოსიარულეები	გზის სხვა მომხარებლები აერთიანებს მარცხნივ
საქონლის ჯოგი / ფარა	ჩამოთვლილ ყველა სატრანსპორტო
ველოსიპედები	საშუალებას. ამ სატრანსპორტო საშუალებების
მოტოციკლი	დიდმა ნაწილმა შეიძლება გავლენა მოახდინოს
საჭაპნე ტრანსპორტი	ხელმისაწვდომი გზის სიგანეზე, რომელიც
სასოფლო-სამეურნეო მანქანები	შეიძლება გამოყენებულ იქნას SCPX-ის მიერ
	მშენებლობის საჭიროებისთვის; ასევე
	ზემოქმედებას შეიძლება ადგილი ქონდეს
	სატრანსპორტო ნაკადის სიჩქარეზეც.
მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებები	
ავტომობილები	აერთიანებს სამგზავრო მსუბუქ მანქანებს, 4x4
	და ტაქსებს.
მსუბუქი სატვირთო ავტომობილები და მიკრო ავტობუსები	აერთიანებს ავტოფურგონებს,
	მიკროავტობუსებს და მსუბუქ ერთხიდიან
	ტვირთმზიდებს

სატრანსპორტო საშუალების ტიპი	აღწერა
მძიმე სატრანსპორტო საშუალებები	
პატარა სატვირთო ავტომობილები (2 ლერძიანი)	ორხიდიანი მანქანები ორი საბურავით უკან ხიდზე.
საშუალო სიმძიმის სატვირთო ავტომანქანები/მძიმე სატვირთო ავტომანქანები (3-ლერძიანი)	სამ-ლერძიანი დიდი სატვირთო მანქანა
მძიმე სატვირთოები (4 ან მეტ-ლერძიანი)	4 ან მეტ-ლერძიანი ავტომანქანა (მათ შორის ითვლება ტრაილერიც)
ავტობუსები და დიდი ავტობუსები	ყველა ჩვეულებრივი ავტობუსი და დიდი ავტობუსი. ეს კატეგორია არ მოიცავს მიკროავტობუსებს.

1.3.1 დანიშნულება, ანალიტიკური აღჭურვილობა და სტანდარტები

ორი სავლე ჯგუფის წევრი, რომელთაგან თითოეულს თან ქონდა სავლე აღრიცხვის ფორმები, აწარმოებდა აღრიცხვას თითოეულ უბანზე; თითოეული ჯგუფის წევრი აღწესდა სატრანსპორტო მოძრაობას მხოლოდ ერთი მიმართულებით. მას შემდეგ, რაც სატრანსპორტო საშუალება და გზით მოსარგებლე ჩაუვლიდა დაკვირვების პუნქტს, სავლე ჯგუფის წევრი ჩაინიშნავდა თითოეულ სატრანსპორტო საშუალებას მისი ტიპის მიხედვით სავლე აღრიცხვის ფორმაში. სატრანსპორტო მოძრაობის აღრიცხვა უწყვეტად წარმოებდა, თუმცა ადგილი ქონდა შესვენებებს საჭიროების მიხედვით. საათობრივი სატრანსპორტო ნაკადის კორექცია ხორციელდებოდა ისე, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო დაკვირვებების არარსებობა დანარჩენი პერიოდების განმავლობაში. მაგალითად, 10-წუთიანი შესვენების შემდეგ ხორციელდებოდა 50-წუთიანი დაკვირვება და ამ საათისთვის, ხდებოდა 50-წუთიანი მონაცემის გადაანგარიშება 60/50 მაკორექტირებელი ფაქტორით.

კვლევების შედეგად შეგროვილი სატრანსპორტო მოძრაობის მონაცემები გაანალიზდა და წარმოდგენილია შემაჯამებელ ელექტრონულ ცხრილებში. მათში ნაჩვენებია მთლიანი სატრანსპორტო ნაკადი და მისი შემადგენლობა სატრანსპორტო საშუალებების ტიპების მიხედვით ორივე მიმართულებისათვის; ასევე მოცემულია მძიმე სატრანსპორტო საშუალებების ხვედრითი წილიც.

1.3.2 ხარისხის კონტროლის პროცედურები

კვლევით გათვალისწინებული ყველა საქმიანობა განხორციელდა პროექტისათვის მომზადებული სავლე კვლევის გეგმის მიხედვით. კვლევები ტარდებოდა მხოლოდ დღის საათებში და ფიქსირდებოდა ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც შეეძლო სერიოზულად ემოქმედა სატრანსპორტო საშუალებებზე ნებისმიერ 1-საათიან პერიოდში; ასეთ მოვლენებს განეკუთვნებოდა, მაგალითად, ცუდი ამინდი, საგზაო სამუშაოები, ავარიები, და ა.შ. ეს ინფორმაცია გამოყენებული იყო სატრანსპორტო მოძრაობის მონაცემთა ანალიზისას, უჩვეულო სატრანსპორტო ნაკადებზე ყურადღების გამახვილების მიზნით.

1.4 კვლევის შედეგები

კვლევების შედეგად შეგროვილი ინფორმაცია სატრანსპორტო მოძრაობის შესახებ წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში და შეჯამებულია თავში 1.4.

სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის ფორმა

კლასიფიცირებული აღრიცხვა დამკვირვებლების მიერ

კვლევის უბანი:	ჯვარი	აღრიცხვის პერიოდი:	09.00-დან 17.00-მდე							
ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულება:	სამხრეთი	აღრიცხვის თარიღი (დღე/თვე/წელი)	31.08.2015							
კვირის დღე:	ორშაბათი	ამინდი:	მშრალი							
აღმრიცხველი:	გიორგი თედორაძე									
	დაწყება	9.00	10.00	11.00	12.00	13.00	14.00	15.00	16.00	
	დასრულება	10.00	11.00	12.00	13.00	14.00*	15.00	16.00	17.00	სულ
ფეხით მოსიარულები				1						1
საქონლის ჯოგი / ფარა										
ველოსიპედი										
მოტოციკლი										
საჭაპნე ტრანსპორტი										
სასოფლო-სამეურნეო მანქანა										
მანქანა / ტაქსი		6	10	24	20	25	30	24	28	167
მსუბუქი სატვირთო მანქანა, მიკრო ავტობუსი			8	6	2	4	6	2	3	31
პატარა სატვირთო მანქანა - 2-ღერძიანი										
საშუალო სიმძიმის სატვირთო მანქანა - 3-ღერძიანი										
მძიმე სატვირთო მანქანა - 4 ან მეტ ღერძიანი										
ავტობუსი & დიდი ავტობუსი		1	1	1			1		1	5
სულ		7	19	32	22	29	37	26	32	204
* 13.00 სთ-სა და 14სთ-ს შორის 1-საათიანი შესვენება. ამ პერიოდის შედეგები ექსტრაპოლირებულია წინა და მომდევნო პერიოდების აღრიცხვის შედეგების გასაშუალოებით.										

სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვის ფორმა

კლასიფიცირებული აღრიცხვა დამკვირვებლების მიერ

კვლევის უბანი:	ჯვარი	აღრიცხვის პერიოდი:	09.00-დან 17.00-მდე							
ტრანსპორტის მოძრაობის მიმართულება:	ჩრდილოეთი	აღრიცხვის თარიღი (დღე/თვე/წელი)	31.08.2015							
კვირის დღე:	ორშაბათი	ამინდი:	მშრალი							
აღმრიცხველი:	კახა გვარამაძე									
	დაწყება	9.00	10.00	11.00	12.00	13.00	14.00	15.00	16.00	
	დასრულება	10.00	11.00	12.00	13.00	14.00*	15.00	16.00	17.00	სულ
ფეხით მოსიარულები				1	2	1				4
საქონლის ჯოგი / ფარა										
ველოსიპედი										
მოტოციკლი										
საჭაპნე ტრანსპორტი										
სასოფლო-სამეურნეო მანქანა										
მანქანა / ტაქსი		9	22	25	32	28	23	25	24	188
მსუბუქი სატვირთო მანქანა, მიკრო ავტობუსი		6	9	1	2	2	3	4	2	29
პატარა სატვირთო მანქანა - 2-ღერძიანი		1								1
საშუალო სიმძიმის სატვირთო მანქანა - 3-ღერძიანი										
მძიმე სატვირთო მანქანა - 4 ან მეტ ღერძიანი										
ავტობუსი & დიდი ავტობუსი		1	1		1	2	1	2		8
	17	32	27	37	33	27	31	26	230	32
* 13.00 სთ-სა და 14სთ-ს შორის 1-საათიანი შესვენება. ამ პერიოდის შედეგები ექსტრაპოლირებულია წინა და მომდევნო პერიოდების აღრიცხვის შედეგების გასაშუალოებით.										

1.5 სატრანსპორტო მოძრაობის ფონური მდგომარეობა

1.5.1 სატრანსპორტო ნაკადების შეჯამება

ერთი მიმართულების სატრანსპორტო ნაკადების შეჯამება ყველა საკვლევი უბნისათვის წარმოდგენილია ქვემოთ საშუალო ნაკადით დათვლის პერიოდში, ნაკადის შემადგენლობითა და პიკური საათობრივი ნაკადებით.

ცხრილი 2 სატრანსპორტო ნაკადის შემადგენლობის, პიკური ნაკადისა და საშუალო ნაკადის შეჯამება

უბანი	უბნის იდენტიფიკატორი	კოორდინატები		საშუალო ნაკადი	ნაკადის შემადგენლობა (%)			პიკური საათობრივი ნაკადი
		აღმ.	ჩრდ.		აღრიცხვის პერიოდში	სხვა გზით მოსარგებლე	მსუბუქი მანქანა	
ჯვარი, ჩრდ.	3N	8479844	4634056	28.75	1.74	94.35	3.91	37
ჯვარი, სამხრ.	3S	8479844	4634058	25.5	0.49	97.06	2.45	37

შენიშვნები:

აღრიცხვის პერიოდში საშუალო ნაკადი არის ერთი მიმართულების საშუალო ნაკადი 8-საათიანი აღრიცხვის პერიოდში

იხ. ცხრილი 1, სადაც მოცემულია სხვა გზით მოსარგებლეები და სატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია

1.5.2 სატრანსპორტო მოძრაობის მდგომარეობა ჯვრის მონასტერთან

საავტომობილო გზის კვლევისას ჯვრის მონასტრიდან დაფიქსირდა პიკური საათობრივი ნაკადი (37 სატრანსპორტო საშუალება/საათში) 12:00 სთ-დან 13:00 სთ-მდე ჩრდილოეთის მიმართულებით და 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე სამხრეთის მიმართულებით. დღის სხვადასხვა დროის უდიდეს ნაწილში აღრიცხულია ცალმხრივი საშუალო ნაკადი (დაახლოებით 25 სატრანსპორტო საშუალება/საათში), რომლის დიდი ნაწილის წარმოადგენს მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებებს (ავტომობილებს, ტაქსებს, მიკროავტობუსებს, და სხვ.).